საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/28

ქ. ბათუმი 07 ივლისი 2014 წ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს №3 გადაწყვეტილებით დამტიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ'' მე-6 მუხლისა და ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის გურამ მემარნის 2014 წლის №983 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2014 წლის 30 ივლისს, 13 სთ-ზე.
2. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ 7 წევრიანი სამეცნიერო საბჭოში საბჭოს ყოფილი წევრის - ედუარდ მეგრელიძის ნაცვლად, მისივე უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, არჩეული იქნეს სხვა წევრი.
3. სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35. ოთახი №3.) 2014 წლის 17 ივლისიდან 2014 წლის 28 ივლისის ჩათვლით 10:00 საათიდან – 15:00 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.
4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის დამადასტურებელი ქსეროასლი;

ბ) ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო თანამდებობის მითითებით.

5. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორს, გურამ მემარნეს დაევალოს ამომრჩეველთა სიის წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 28 ივლისის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად).
6. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება ამ ბრძანებისა და ინსტიტუტის დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7. ბრძანება განთავსდეს ინსტიტუტის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**